



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 11

„ 14 „ 12 2019⁶

დადგენილება № 65

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობების და საბუთების
 მიმღები სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, 22-ე პუნქტების, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი:
 - ა) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ერთი ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მიმართულებით ბიზნესის ადმინისტრირება/საბუღალტრო აღრიცხვა.
 - ბ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთი ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით, დარგი/ქვედარგი - ქართული ენა.
2. კონკურსი გამოცხადდეს 2019 წლის 12 დეკემბერს, საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს 2020 წლის 13 იანვრიდან 27 იანვრამდე.
3. კონკურსი ჩატარდეს 2020 წლის 04 მარტს, შედეგები გამოქვეყნდეს იმავე დღეს.
4. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები და ფორმები თანდართული სახით.
5. დამტკიცდეს საბუთების მიმღები სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:
 - გიული ზედგინიძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მ.შ.
 - ნანა ხითარიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტის მ.შ.

6. დამტკიცდეს საკონკურსო-საფაკულტეტო კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე:

- პროფესორი ცისკარა ზარანდია (კომისიის თავმჯდომარე);
- პროფესორი ჯემალ მამაიაშვილი;
- ასოცირებული პროფესორი დავით ბიძინაშვილი;
- ასოცირებული პროფესორი ია გელაშვილი;
- ასოცირებული პროფესორი ნანა ჯღარკავა.

ბ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

- პროფესორი მერაბ ბერიძე - კომისიის თავმჯდომარე
- ასოცირებული პროფესორი მათა ქუქჩიშვილი
- ასოცირებული პროფესორი ლამზირა კობაიძე

7. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს ბიზნესის ადმინისტრირების და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებს.

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზღვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2.



მაკა ბერიძე